



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი



ნოე ჩხილაძე

კრებული

ნოე ჩხილვაძე

კრებული

## დაუმთავრებელი ლექსი

ლოცვით ვერ დავძლევ მწუხარების შავსა ზმანებას, ცრემლთა ჩანჩქერით ჭმუნვა ჩემი არ განელდება. მე სიკვდილს ველი... ჩემს გარშემო ჟამი ბნელდება... საფლავის კართან ჩრდილთა ღმერთის ვუცდი ბრძანებას...

## გედის ყივილი

მედგარ ყივილით შორს სივრცისკენ გადაფრენილი, გულ-დაკოდილი, უნუგეშო და მოწყენილი, აწ ვის ეძიებ, ვის მისტირი, საბრალო გედო, სად ჰპოვებ ადგილს განსასვენსა, შენ ჩემო ბედო?ჩვენ გარს გვარტყია ყრუ სიჩუმე, უდაბნო ვრცელი, არა გვაქვს ბინა, არც სამშობლო, არც სარეცელი. - მოდის საღამო... სიჭაბუკის შუქი შავდება და ჩვენი ყოფნა არასოდეს არ აყვავდება!

გამოეთხოვე ამ წალკოტებს, ამ მწვანე ქედებს, გამოესალმე აუხდენელ სიყრმის იმედებს! არ გამრთელდება დაკოდილი გულის ფიცარი, არ აგვშორდება შურის გესლი, შხამის ისარი!

ჩვენ ხომ გვიყვარდა შმაგ ზვირთების შმაგი გალობა, ჩვენ ხომ არ გვაკლდა აპოლლონის მადლი, წყალობა, მაგრამ დღეს ისე დაგვცეს, გაგვცეს, საბრალო გედო, აწ ვერ იმღერებ, ვერ იმღერებ, შენ ჩემო ბედო!

რა დავაშავეთ? აბა ჩვენი ან რა ბრალია, თუ მეგობრობა, სიყვარული წარმავალია? დაე ვიტანჯოთ, სულ ვიტანჯოთ გულის ტკივილით და მზის სარკეზე მოვკვდეთ თრთოლით, მოვკვდეთ ყივილით!

ჩვენ არ შეგვერგო დედის წრფელი ლოცვა-ალერსი, ცის ნამზე წმინდა, მზის სხივებზე უმხურვალესი, ჩვენ არ გვეღირსა მადლი წმინდა სიყვარულისა და მხოლოდ შეგვრჩა განწირული ჭმუნვა სულისა. მაგრამ ჯერ კიდევ სიყვარულის ნეტარ სიმთ ჟღერით ცხოვრების გრიგალს ავყვეთ ბრძოლის მედგარ სიმღერით თუმც ნეტარება და სიმართლე უფსკრულს მიჰთარდა, - დეე გაიგონ როგორ გვწამდა, როგორ

გვიყვარდა! და თუ ჩაკვდება შხამ-ნარევი ჩვენი ყივილი, არ მოგვასვენებს უნუგეშო გულის ტკივილი, - მაშინ გვეწვევა ჩვენ სიკვდილი, ოცნება - გედო, და მოგვასვენებს, მოგვასვენებს, შენ ჩემო ბედო!

ვაი მას, ვისაც ცის გალობა არა სმენია, ვაი მას, ვისაც მზის ოცნება არა ვლენია, ვაი მას, ვისაც არ უხილავს სივრცე ბრძოლისა! და თვალთა ჩინათ არ ჰქონია სარკე ბრძოლისა!

დიდება იმას, ვინც დაიწვა ნათლის ძიებით,

კურთხევა იმას, ვინც ეწვია სოფელს იებით, შენდობა იმას, ვინც შეახო ცეცხლის ფრთა წყვდიადს: მოკვდა ბრძოლაში, მაგრამ მაინც მიწვდა განთიადს!..

და თუ ვერ ჰპოვა იმან ქვეყნად სასუფეველი, ხომ თან წაიღო სული წმინდა, დაუძლეველი? ხომ შემოსძახა ერთხელ მაინც ტკბილი მაყრული, ერის ჩანგზედა უკვდავებათ გამოსახული?!

ეჰ, გასწი, გასწი! ტანჯვა, ბრძოლა ნუ გენანება, ქარზე გავფანტოთ შავი ფიქრი, შავი ზმანება, ბრძოლით ჩავაქროთ სიყრმის დილა, ოცნება - გედო, და განვისვენოთ, განვისვენოთ, შენ ჩემო ბედო!..

## შრომის ფსალმუნი

მოწყენილია შენი ბაღი, - ეს ჩემი გული, ვით მწუხრი დედა პირმშო  
შვილზე ატირებული, სევდამ დაჩრდილა სიჭაბუკე გაბრწყინვებული,  
ჭმუნვამ დაკოდა აღმამფრენი სული შვებული და გრძნობის ჩანგზე  
კვნესს, ქვითინებს სიკვდილის

წყლული. მოწყენილია შენი ბაღი, - ეს ჩემი გული!

შენ იყავ მადლი ცის ემბაზით გადმოფრქვეული, შენს გარეშემო  
გაზაფხული იფურჩქნებოდა, მე შენ გეტრფოდი, შენი ხილვა  
მენატრებოდა და რა ვიცოდი უნუგეშოთ თუ დასჭინებოდა მშვენიერების  
სახე ნაზი, სახე გრძნეული? შენ იყავ მადლი ცის ემბაზით  
გადმოფრქვეული!

ახ, სად ხარ, სადა, სად მიგაფრენს ეს სისხლის ნავი, უფსკრულის გზითა,  
ცეცხლის ალზე სანამ ვიარო? ჩემი ოცნების, სიცოცხლისა თანაზიარო,  
სად მოვისვენო, ნეტარებით სად ვეზიარო? საფლავთა შორის  
განწირულმა სად დავდო თავი? ახ, სად ხარ, სადა, სად მიგაფრენს ეს  
სისხლის ნავი?!

ვარსკვლავებს ჰქითხე, შენ გარშემო რომ დასცურავენ, როგორ ჩამოჭკნა  
შენი ბაღი, - ეს ჩემი გული, როგორ ინთქება, იღუპება ქვეყანა სრული და,  
უღვთო ხვედრით დაცემული და განწირული, შენი მსახურნი რა  
ცრემლსა და ნაღველს სწურავენ. ვარსკვლავებს ჰქითხე, შენს გარშემო  
რომ დასცურავენ! რა ვქნა, რა გიყო? სად გეძიო გულის-უფალო? რომელ  
ზღვის გულში, რომელ ქვეყნის ტურფა მხარეში? აქ ისე ვცხოვრობთ, ისე  
ვდნებით, ვით სამარეში, მონის ხუნდებით, გაჭირვება-სიმწუხარეში და  
მარად გვდევნის ბედი შავი, ბედი უწყალო.

რა ვქნა, რა გიყო? სად გეძიო გულის-უფალო?

ლოთი მგოსანი

მე მსურს ვილხინო გიჟური ლხინით, განუსაზღვრელათ მსურს მე ვილხინო, დავითვრე ვნებით, დავითვრე ჟინით, და ისე მოვკვდე, არ მოვიწყინო! მთელი სიცოცხლე ვტიროდი მწარეთ, ვტიროდი მწარეთ და თან ვგალობდი, ცხოვრების შვილი, ცხოვრების გარეთ მშიერ-მწყურვალი დავწანწალობდი.

ბევრჯერ დავრეკე მეგობართ ზარი, ნაცნობ კარებთან ხშირად ვდრტვინავდი, ყველგან მესმოდა: “შინ აღარ არი”, -რადგან ხედავდნენ, არა ვბრწყინავდი. შხამით და გესლით ვიყავ აღსავსე, უდროვოთ საფლავს მითხრიდა ბედი, მაგრამ მე მაინც მტრების წინაშე არ მომიხრია ამაყი ქედი.

ხელთ მეპყრა ჩანგი სიყვარულისა, - სიყვარულს მღერდა ჩემი ნაღარა, მე კი არავინ არ შემითვისა, მე არ არავინ არ შემიყვარა!

დავდნი, დავიწვი, როგორც სანთელი, მეწვია ჭმუნვა, უიმედობა და დამრჩა მხოლოდ უკანასკნელი: ბრძოლა, სიგიჟე და თავხედობა!

და ჰა, დავაშრე ცრემლისა წყარო, გამოვეთხოვე მეგობართ კარებს და გადავწყვიტე: არ შევიყვარო, ვიდრე არავინ არ შემიყვარებს.

რისთვის დავიწვე, რად დავიცალო, როს სიჭაბუკე სულს განმიალებს? მე გადავწყვიტე: მარად ვიმთვრალო, ვიდრე სიკვდილი გამატიალებს!

მე მსურს ვილხინო გიჟური ლხინით, განუსაზღვრელათ მსურს მე ვილხინო, დავითვრე ვნებით, დავითვრე ჟინით, და ისე მოვკვდე, არ მოვიწყინო!

### დიდება

სიცოცხლის ფიალა აივსო სისხლითა, ცხოვრების ყვავილებს ქარცეცხლი სწვავს, სნეული ქვეყანა ითვრება ზიზღითა, ინთქება, იხრწნება, იხრჩვება, - სვამს! - სალამი, სალამი აღსასრულ ჟამს!

ჰყვაოდა ოცნება - დამწიფდა ნაღველი, ლეში და სიმყრალე ამშვენებს ველს, დაიმსხვრა მიზანი, მზის გამომსახველი, გავგიჟდით, დავეძებთ

ჩვენ განსაცდელს. დიდება, დიდება, დიდება გველს!

ვიყავით ციხეში - ვგალობდით სიყვარულს, დავლეწეთ - ტაძარი ავუგეთ შურს, წამების გვირგვინი დავადგით სიხარულს და კუპრის ფსალმუნით ვლოცულობთ პურს, - თაყვანი, თაყვანი ხალხს უსუსურს!

სისხლისა ნადიმზე ქვეყნისა მხეცები სძიმგნიან, კორტნიან ურთერთსა თვალს, ხარობენ გიუები, ლალობენ ბეცები, ახალი წარღვნისა ანთებენ ალს! - კურთხევა, კურთხევა, კურთხევა ხმალს! სუფევდა სამშობლო: - შრომა და ერთობა, დავამხეთ, ავსტეხეთ ცრემლისა ზღვა, და გვინდა მეფობა და გვინდა ღმერთობა, რომ ტანჯვის უფსკრულში ჩავძიროთ სხვა. - ესროლეთ, ესროლეთ, ესროლეთ ქვა! ქვეყანას ახრჩობენ დღეს სპეცულიანტები, პორფირი ყაჩაღებს დავუთმეთ მთლად, ჩვენ გავხდით ჩონჩხები, ჩვენ დავრჩით ლანდები (დაგვმარხეთ, სამარე თუ არის მზად!) - შენდობა, შენდობა, შენდობა მათ!

სად არის მიზანი, სად არის ნუგეში? სიმართლე, სინათლე, მზე სიცოცხლის? ოცნების ბალნარში, ოცნების მხარეში, სისხლი და ნალველი, ბალღამი სდის, - ილოცეთ, ილოცეთ, ილოცეთ ის.

სიცოცხლის ფიალი აივსო სისხლითა, ცხოვრების ყვავილებს ქარცეცხლი სწვავს, სნეული ქვეყანა ითვრება სისხლითა, ინთქება, იხრწნება, იხრჩვება - სვამს

- სალამი, სალამი აღსასრულ ჟამს!

### ბოგანო

ოხვრით, ქვითინით გამოკეტა ტიალი ქოხი, ტიალი ქოხი, ტანჯვის ბუდეთ გადაქცეული, ღმერთი ახსენა, ხელთ აიღო შინდისა ჯოხი და დუხჭირ ყოფნის გზას გაუდგა ბედით ეული. ვერ აიტანა ბეჩავ გლეხმა სულ განსაცდელი, ვერ გაუმკლავდა შიმშილს, სიცივს, ვაი-ვაგლახსა, გამოიტირა თოხ-სახნისი, ახო, ანჯელი, გამოეთხოვა შეყვარებულ მიწასა, წყალსა. დიდხანს ეწვალა უბედური, დიდხანს ეწამა, არ გასტეხოდა ტოლთა შორის ნამუსი, პირი, მაგრამ არ იქნა, არ დაინდო იგი ზეცამა, არ

დაიშურა მისთვის ტანჯვა და გასაჭირი:მოხნა-მოთესა, - ნიაღვარმა ლექად უქცია, გამოაცალა მთელი წლისა სარჩო-საღსარი, მღვდელი, მოხელე, მეზობელი მას მიუსია და ჯოჯოხეთსა დაემსგავსა მისი სახლ-კარი.

მაგრამ განგებამ უბედურსა არც ეს აკმარა, არ შეიწყნარა განწირული, გაწმილებული, მალვით, ქურდულად მეფე-ჭლექი შემოაპარა, შიმშილის სახით, ჩაგრულთ მხსნელად მოვლინებული და ჰა, აღსრულდა! - გაზაფხულზე, მაისის თვეში გლოვით და ზარით ორი კუბო გადაასვენა, მიწას მიუძღვნა, რაც გააჩნდა წუთისოფელში და მათთან ერთად მისი ყოფნის მზეც ჩაესვენა. განა საბრალო ამას გრძნობდა, ამას ელოდა? მაგრამ შიმშილმა, გაჭირვებამ ხარკი აიღო, ბავშვობიდანვე მას სახელად “ტანჯვა” ეწოდა და კიდევ ტანჯვა-ჯოჯოხეთის კარი გაიღო...

აწ რას უცადოს? რა ეძიოს სამაგიერო? სად მოიპოვოს მყუდრო ბინა, ნავთსაყუდარი? - იგი შენია, შენ გეკუთვნის ბედო ცბიერო, -

არ უღალატო! ჩქარა კუბო, ჩქარა სუდარი! ის შენ მოგყვება არა რწმენით და სიყვარულით, -

ეს ოცნებები რახანია გამოიარა, იგი სავსეა მწარე ბოლმით, სავსეა შურით, რომ ნაღველ-გესლათ დაიბრუნოს თვისი იარა!

ივლის, იბრძოლებს... და ჩააღწევს სადმე ქალაქში, გადაერევა ზღვა ცხოვრების გრგვინვა-ქუხილსა და სიყრმიდანვე გამოწვრთნილი იგი ტანჯვაში რღვევის ქარცეცხლათ შეერთობა რკინის დუღილსა. და შეებმება ორი ძალა, ორი მსაჯული: შრომა და ფული, მუშის ოფლი და მდიდრის მადა, -იჭექებს მკლავი, აზვირთდება შრომის უფსკრული და ბოროტების ტახტ-პალატი იქცევა მტვრადა...

მაგრამ თუ ტანჯულს ერთხელ კიდევ უმუხთლა ბედმა, ვერ გაუმკლავდა უკუღმართსა შენს კანონ-წესებს, სადმე ქუჩაზე მძიმე ტვირთ ქვეშ ის დაეცემა და ქვეყნის ვარამს, ქვეყნის ნაღველს ამოიკვნესებს. და რას დაკარგავს? - მხოლოდ ტანჯვას, მხოლოდ ბორკილებს, ცხოვრების ბოლმას, რკინის გველათ შემოჭედილსა, ცრემლით, ვაგლახით, თუმც

არავინ არ გააცილებს, არც ჩაიყოლებს სიყვარულის ხსოვნას კეთილსა!..

- ეჰ, გასწი, გასწი! გასწი, მმაო, ეკლიან გზაზე, ეგ სიდუხჭირე მწარე ბრძოლით აღმოიცანი, მაინც სისხლს ანთხევ, უბედურო, წამების ჯვარზე, მაინც ტანჯვაა შენი ყოფნა, შენი მიზანი!

ერთი გექნებათ თქვენ წამება, ლხინი და გლოვა. შრომის ჯურლმულში, შრომის შვილსა დაგითმობს ბინას, ერთი გექნებათ თქვენ წამება, ლხინი და გლოვა. ერთად დაადნობთ გულის ოფლსა, ცრემლსა და რკინას. იქ ხელს აიღებ საიქაოს სასუფეველზე, იქ შეგზიზღდება შენ თილისმის ოქრო და ვერცხლი და სისხლით მორწყულ ახალყოფნის საკურთხეველზე

თავისუფლებას გამოსჭედავს რკინა და ცეცხლი!

\*\*\*

მე მოველ და მოვიტანე სიმღერების კონა. ყვავილები, უკვდავების სხივზე გაფურჩქული, რაც ოცნების გაზაფხულზე ვპოვე, მოძეწონა: სილამაზე ზეციური, სიტყვა ცელქი, ბრძნული. მე მოველ და ყოველივე უნდა გახდეს სრული!

მე მოველ და თან წამომყვა მზე-თავისუფლება, ჩაგრულთ სისხლით დანამული, ცრემლით მოქარგული. მას მონა და მიწიერი ვერ დაეუფლება, მასში ჰყვავის განახლების ტურფა გაზაფხული. მე მოველ და უნდა გაქრეს გაჭირვება, წყლული!

მე მოველ და აპა, ტანჯულ მიწას ეცინება, მდელო შეკრთა, ალიკლიკდა ხევში ნაკადული, ხუჭუჭ ვარდებს, ფერად ბარდებს შუქი ეფინება - სიცოცხლე მღერს!.. მიწის შვილნო, სუ! განაბეთ სული! მე მოველ და მოდით, ჰპოვეთ ტრფობა-სიყვარული!

მე მოველ და თანვე მომყვა ყოფნის განთიადი, მზემ იფეთქა და გაუკრთა არემარეს რული, ბნელს შეება წითელ დროშით ხალხი ხმა-დიადი და იწვება საუკუნეთ ტანჯვის ზღვა უფსკრული!

მე მოველ და უნდა აღსდგეთ! უნდა გახდეთ სრული!

\*\*\*

იმღერე, მუზავ, გევედრები, კიდევ იმღერე ჩემის ბედის და უბედობის საგალობელი, ამ წუთისოფლად ერთი მყავხარ შენ მწყალობელი, - შენ ჩემს სევდაში დაიბადე და დაიფერე.

ბედნიერება, ნეტარება ჩვენ არ ვიცოდით, მხოლოდ გვეჭირა სინათლისკენ გზა სისწორისა, გულს გვიმხნევებდა ხმა-მედგარი ჩანგი ბრძოლისა და მხნე ლექსებით, მამაც რწმენით მარად ვიბრძოდით! დღეს-კი დავსუსტდი, ბედთან ბრძოლა არ შემიძლია, თითქოს მეტია ამ ცრუ სოფლად რაც გამიძლია, ისე ვარ ახლა უნუგეშო, სასომიხდილი;

ვატყობ: ილევა გულში სევდა, სულში ნაღველი, - იმღერე რამე!.. აღსასრულის გამომსახველი. ჟანგიან ცელით მიკაცუნებს კარზე სიკვდილი!

### მჭედელი

მუდამ ღამით და ყოველ დღე ჩვენს ქალაქში, კომლით სავსე, უსინათლო ძველ სარდაფში, მესმის წყნარი, სევდიანი მე სიმღერა; მასში მოსთქვამს დაჩაგრულთა ბედისწერა, უნდო, დუხჭირ ცხოვრებისგან განწირული, შრომის ცეცხლით ანაკვნესი ხმა გმირული...

მე ყურს ვუგდებ, როგორ რეკავს გრდემლზე კვერი, როგორ კვდება მუნ სიცოცხლე მშვენიერი, როგორ ბრუნავს ყოფნის ჩარხი გაქცეული, იწვის ცრემლი, ფოლადზედა დაქცეული, ტანჯვის შვილთა, რომელთაც მზე არ უნახავთ და სიცოცხლის მიზნად შრომა დაუსახავთ. მიყვარს იგი უცნაური, დაფარული ცხოვრების ხმა, რღვევის ხმაში გაპარული, და მჭედელი, გამდნარ შანთსა როცა სჭედავს, როცა ალში სიცოცხლისა სახეს ხედავს,

-შვება მიპყრობს, მინდა გრძნობით იმას მივყვე, დავითერფლო, საუკუნოდ შიგ დავიწვე!..

ამ დროს იგი, კვერისა და გრდემლის ხმაზე, თვის საყვარელ სიმღერასა მღერის ასე:

- “სიცოცხლეო, იჩუხჩუხე, კვლავ აღავსე ყოფნის თასი წმინდა ოფლის ნაკადულით, რომ შევხედო ჩემს სამკაულს სიყვარულით, დავეწაფო ათრთოლებულ ცეცხლის ალებს და შევერთო აზვირთებულ ძალთა-ძალებს! იჩუხჩუხე! - აუჩქაროს გულმა ძგერა, გამომჟღავნდეს დაფარული ბედისწერა, რომ დაირღვეს არსებობის სახე ძველი, რომ გაირკვეს სიცოცხლისა განსაცდელი, ცის სახელით, მიწის ბნელით დაფარული, და შეიგნოს დაჩაგრულმა სიყვარული!..

ვინაც კვნესის, იმან იცის ყოფნის ვალი! აწმყოსაგან მსხვერპლსა ითხოვს მომავალი. და როდესაც სამსხვერპლოზე იგი დნება, როცა ოფლსა ცხარე ცრემლი ეთვისება, ის ნაღველი ბრძოლის ცეცხლად უნდა იქცეს, ძველი

ყოფნა ჩაიტანოს და დაიქცეს!

სიცოცხლეო, იჩუხჩუხე მაშ კვლავ ასე, ცრემლი ცრემლთან შეაზავე და აღავსე ყოფნის თასი წმინდა ოფლის ნაკადულით, რომ შევხედო შენს სამკაულს სიყვარულით, დავეწაფო ცხოვრებისა ცეცხლის წყაროს, შევუერთდე იმ ქვეყანას, იმ სამყაროს, სადაც მეფობს და ბატონობს შრომის შვილი, სად სიცოცხლეს ქედს მოუხრის თვით სიკვდილი!”

მე ყურს ვუგდებ უცნაურსა ამ სიმღერას, გრძნობით ვისმენ დაჩაგრულთა ბედისწერას, და მჭედელი გამდნარ შანთსა როცა სჭედავს, როცა ალში სიცოცხლისა სახეს ხედავს -

ვმღერი, სრულქმნა სიცოცხლისა რომ ვიხილო:

- დაჰკარ, დაჰკარ გრდემლსა კვერი, შრომის შვილო!

### შრომის ჰანგი

შრომა, შრომა! მხოლოდ შრომა! მხოლოდ შრომის სიყვარული! მასში არის ჩვენი ნდომა, ჩვენი ყოფნის სიხარული!..

როცა ოფლი შუბლს ერხევა, როცა ვკვნესით ცეცხლის ალში, მაშინ მადლი გულს ეფრქვევა, ფიქრით დავქრით მომავალში!

ფიქრით დავქრით იქ, სად მმობა, სიყვარული დანავარდობს, სადაც იშვებს ჩაგრულთ გრძნობა და სიცოცხლე ია-ვარდობს! გაუმარჯოს მაშ შრომის შვილს, გაუმარჯოს ჩაგრულთ კერას! გაუმარჯოს ვინც ყურს უგდებს

ჩვენს კილოს და ჩვენს სიმღერას!

### No - ს

ვინ მკითხულობს? ვინ დამეძებს? ვის ვუყვარვარ მე? აცრემლებულ თვალთ ვაცეცებ, მოდი, ხმა გამე! ირგვლივ ცივა... სისხლიანი ლამეა, ლამე,

გული მტკივა, სანუგეშო მითხარი რამე! მე მარტო ვარ, მარტო ვმღერი.. ყრუა სოფელი, ვის ვუთხრა, ვის განვუმარტო სევდა-ნაღველი. არვინ მყავდა, არავინ მყავს, არავის ველი, - საიდუმლო მეგობარო, მომეცი ხელი! მსურს გავფრინდე, მაგრამ საით, რომელ მხარეში? სად არის, რომ არ გმინავენ სიმწუხარეში? ყველგან ბრძოლა, ყველგან სისხლი, რბევა-თარეში, უღვთოდ ვკვდები ამ ცხოვრების ბნელ სამარეში! შენ-კი იცი, ალბათ იცი, მე რაც მიყვარდა, მაგრამ იგი სასოება ხელთ გამივარდა, დუხჭირ ბედმა სიჭაბუკე არ გამივარდა, სიყვარული, სიხარული უფსკრულს მიჰბარდა! რად მკითხულობ, ეგებ რამე დაგრჩა სადაო? გაგისწორდე, რა მაქვს, ძმაო, თუ ჩემო დაო? ციურ სმენას, აღმაფრენას, ოფლათა ვწვავო, - პოეტისგან რას მოელი?.. ვაჲ ჩემო თავო!.. მოგენატრე? - მე არ მახსოვს, თუ ვის ვუყვარდი, მე მიცნობდა მხოლოდ ერთი ჭმუნვა და დარდი, ტანჯვა იყო ჩემი მოძმე, ია და ვარდი და მიყვარდა მხოლოდ წინსვლა, ბრძოლა-ნავარდი. ვინ ხარ, ვინა? არ გაქვს ბინა, ჩემებრ ღონდები? თუ ასეა, უეჭველად მოგაგონდები. დაჩაგრულთა მომღერალი ჩანგს რად ვშორდები? - მომითმინე, - ჯერ ცხოვრებას გავუსწორდები! მე მაქ არ ვარ... თუ გიყვარვარ, ვის გიყვარვარ მე? ცოცხალი ვარ, არ მოვმკვდარვარ, მოდი ხმა გამე! ირგვლივ ცივა, სისხლიანი ღამეა, ღამე, გული მტკივა, სანუგეშო მითხარი რამე!